

რედაქცია

მელი მინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგვეტოვის სახლში.

ხელის-მომწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროზა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანკულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღილი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 3 კაპ., ციფრით, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა. დაუბეჭდელი ხტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ თვის 11-ს „დროებას“ რედაქცია ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგვეტოვის სახლში, კოლიტის პირ-და-პირ, გადავიდა და ამის გამო ვსთხოვთ, დღის შემდეგ, ვინაც ხსენებულ რედაქციასთან რაიმე საქმე ექნებათ, ამ აღმასსით მიმართონ.

პირველი საქმეები

მიიღება რედაქციაში

ოთხი თვის ხელის-მომწერა

„დროებაზე“

ახალი ხელის-მომწერნი მიიღებენ გაზეთის ყველა ნომერებს ამ წლის 1 სექტემბრიდან ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე.

ფასი ოთხი თვის ხელის-მომწერლებისათვის სამი მანეთია, ნახევარი წლის გაზეთისა — 4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

ჩვენი მოვალეობა

მეგობრობა, „ღიურში“, წაიკითხეთ მსმალთს საქართველოდამ მოსულს ამბებს, რომლიდამაც დაინახეთ, რომ მსმალთს სასტიკი მმართველობისაგან დაწიოკებული და შევიწროებული ქართველები სრულიადაც არ ჰფიქრობენ დამშვიდებლასა და დამორჩილებას.

მოდრობა მობუღეთილად ლაზის-ტანში და აჭარაში ვრცელდება, — გვატყობინებენ.

ფელტონი

სხალ-სხელი აგაგბი

სადაც ცხოვრება უფერულია და ნაწყვეტი, სადაც, თუ არ ავი, კარგი რამ ერთი მეორეზედ არ ებმის, იქ რომ რამეს მოთხრობაც უფერული და ნაწყვეტი უნდა იყოს, — ეს საექვო აღარ არის და ამისათვის ნუ-რაფერს უკაცრავად ამ დაჩხილ სტატიანზედ...

მიწყებ მუთაისზედ: ჰმ... მუთაისი... მუთაისში... არ ვიცი, რა უნდა ვთქვა მუთაისზედ?.. მუთაისი... მუთაისი... თუ! ველარაფერი ველარა ვსთქვი!

ამ დღეებში სამეგრელოს მღვდლების კრება იყო, სასწავლებლის შესახებ; ყოველად-სამღვდელთს ჰურს, რომ სასწავლებელი მუთაისში დარ-

მინც გაზეთებს მაინც თვალ-ყურს ადევნებს, იმან იცის — თუ როგორ ეპყრობა მსმალეთი თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებზე.

ჯერ მშვიდობიანობის დროსაც მსმალთს მმართველობის მოხელეები: ფაშები, მუღირები და უბრალო წერილი ჩინოვნიკებიც კი ყოველ ხარჯს ერთი-ორად ახდევინებენ, ადამიანთ არ სთვლიან, ყოველს შემთხვევაში ავიწროებენ ქრისტიანებს; მაჰმადიანებთან მუდამ ისინი არიან დამნაშავე. მაი იმ ქრისტიანს, ვინც მდიდარია! მაი და უი იმას, ვინც მაჰმადიანის შეგინებას, შეურაცხყოფას გაბედავს!

ეს მშვიდობიანობის დროს. ახლა აჯანყების დროს რაღა უნდა იყოს! ნახეთ ბერცოგოვინის და ბოსნიის მდგომარეობა და მაშინ გაიგებთ. სარწმუნო პირები იწერებიან ამ ქვეყნებიდან, რომ საცა კი აჯანყებული ქრისტიანები ჩაუფარდა ხელში მსმალთს ჯარს, შებრალებას ადგილი არ ჰქონდაო; ტყვეები იმათ არ იციანო: დატუსაღებულებს განუკითხავად თავს ჰკვეთნო; დამორჩილებულ სოფლებში და ქალაქებში დაეარდნო მოხუცებულებსა და ძუძუმწოვარ ბავშვებს, რომელთაც გაქცევა არ შეეძლოთ, ბევრს არ ალაპარაკებენ, შეუბრალებელად, თითქო წიწილები იყვნენ, მიჟლეტ-მოჟლეტენ, დასჩენენ ხრმლითა და დაჭრიანო; მთელ სოფლებს ცეცხლს უკიდებნო!

მარტო ბოსნიიდან 30,000 კაცი

ჩეს და მღვდლები კი წინააღმდეგები არიან: იმათა ჰსურსთ, რომ ისევ სამეგრელოში გადაიტანონ და, ჩემის ჰზრით, საფუძველიცა აქესთ: იქ, ადგილობრივ, იმოდენი ხარჯი არ მოუვათ შეილების გამოზრდაში, რამოდენიც აქ და იქ რომ ათმა მისცეს სასწავლებელში შეილი, აქ ერთ მათგანსაც გაუჭირდება ამოყვანა. დარაც შეეხება ზნეობის მხარეს, იმდენათ სამეგრელოში არ გაუფუჭდებათ, რამდენათაც მუთაისში, სადაც ღარიბი ყმაწვილები იძულებულ არიან ღუქებში და სამიკიტნოებში დადგნენ. —

ვიმეორებთ, რომ სასწავლებლის აქ გადმოტანა არაფის არ არგებს, გარდა მასწავლებლებისა და მათთვის კი, რასაკვირველია, ქალაქში ცხოვრება აჯობებს სოფელში „სკუჩხაობას.“ მაგრამ... მაგრამ... თუ!... ვერც აქ გადავბი! ძიღვე სხვა ვსინჯოთ!...

და ქალი გაქცევი ამ საშინელ მომავალს.

„დროების“ მე-101 ნომერში დაბეჭდილი კორრესპონდენციიდან შეიტყობდით, რომ მსმალთს მოხელეები ჩვენ მეზობლადც ამავე სისტემით მოქმედებენ:

„როცა ფაშას მოახსენეს, რომ ქობულეთში ბერცოგოვინაში სალაშქროთ წასვლას არ აპირებნო, გახელბულმა ფიცხელი ბრძანება მისწერა კიმაკებსა და მუღირებს (უზდის უფროსებს), რომ ძალით გამოიყვანეთ ხალხიო და ვინც წინააღმდეგობა იხმაროსო, ოჯახი და სახლ-კარი დაუფიქრო და მათი ცოლ-შვილი დაატუსაღეთო.“

რა არის ჩვენი მოვალეობა ამ შემთხვევაში? რას უნდა ვწერებოდეთ ჩვენ, როცა ჩვენ მოძმეებს სწვენ, დაგვენ, როცა იმათ შეილებს წიწილებით სრეანენ, როცა იმათ ცოლებს აუბატურებენ?

იმას უნდა ვწერებოდეთ, ისე უნდა ვიქცევოდეთ, როგორც ადამიანური, კაცთ-მოყვარული გრძობა მოითხოვს, როგორც იქცევიან ახლ გერცოგოვინელებისა და ბოსნიელებისათვის იმათი თანამოძმე სლავიანები, და არათუ მარტო სლავიანები, ყველა უცხო ხალხებიც, ვისაც კი კაცური გრძობა, სიყვარული და გული უჩუხუნებს სხეულში!

თუ უსამართლოებისაგან დაჩაგრულ და მოთმინებულად გამოსულ მსმალთს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია ზნეობით დავეხმაროთ. დავეხმაროთ

ისე მაინც, როგორც ევროპელები, როგორც საზოგადოთ სლავიანები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებიან აჯანყებულ გერცოგოვინელებს.

ამ უთანასწორო, თ-ვ-გადაღებულ ბრძოლაში ყოველი ჩვენგან გავზავნილი ლუქმა პური, ყოველი უბრალოც არის ნაჭერიც ტანთსაცმელისა, ყოველი ყურუში ძვირფასი იქნება არათუ თავის თავათ, არამედ როგორც ზნეობითი ნიშანი ჩვენი თანაგრძობისა, ჩვენი ძმობისა...

და ეს დახმარება არაფის საწინააღმდეგო არ იქნება, რადგან ვერაინ ვერაინთარ პოლიტიკურ მნიშვნელობას ვერ მიაწერს: ეს იქნება მხოლოდ აღსრულება ქრისტეს მცნებისა, ეს იქნება მხოლოდ მცირედი დაკმაყოფილება კაცთ-მოყვარული გრძობის მოთხოვნილებისა...

ს. მესხი

ღიურში

როგორც იყო, ორიოდე მცირე ამბავს ველირსეთ მსმალთს საქართველოდამ:

ჩვენ მოგვივიდა ამბავი, რომ ხალხის არეულობა და უკმაყოფილება აქ თან-და-თან მატულობსო და, როგორც ეტყობა, არამცა-და-არამც არ დათანხმდებიანო, რომ გერცოგოვინელების წინააღმდეგ საომრად წაიღწენო.

„თფილისის მოამბეს“ ატყობინე-

კენ შეილების წაბლავლებას, იქედამ, შინიდან ცხერები წამოებლავლებით!

რაც ვაკანსია კი იყო სასწავლებლებში, ყველა აქაურის ეპყრების შეილებით აიგსო; სოფლებებს არა რგებიანთ რა: ჩაი, შაქარი, რომი და სხვა სასმელები ძალიან გაიფუდა და კარგი გასაფალიცა აქეს...

მუთაისში თავის შესაქცევარი სულ არა არის რა იმის მეტი, რომ ერთი ჩვენი ხეირიანი გამოძიებელი, ნადირობის დროს, უცხო ქვეყნიდან ჩამოვარდნილ ირემს ჩაუდგა კვალში; მაგრამ, მეძებრების მოყფის დროს, ბევრი ჩვენგური მშველები და კურდლებიც გამოახტუნა, ასე რომ თუ არ შეიცოდა, დაიჭერს ამ ქვეყნის მტერ-ნეკრის ტყვეობებს!...

სხვა ახალი ამბავი არა არის რა ამ ჩვენს მუთაისში და რომ კიდევ იყოს... ჰო, არ კი დამაიწყდა... რა-ღაცას თქმა მინდოდა! ჰმ... ჰმ... თუ, თუ!.. მეღარ მოვიგონე.

აკაი

ბენ, რომ არეულობა მოხუცდებოდნენ...

ამას გარდა ჩვენე მოგვივიდა ამბავი, ვითომ ადგილობრივ მსმალოს მთავრობას...

აი ესაა სულ, რაც შეგვიტყვიან ჯერ-ჯერობით ამ არეულობის თაობაზე...

ამ ქაშად ჩვენს ქალაქში იმყოფება ქართული გრამატიკის და ლექსიკონის ავტორი...

რადგან ჩვენ არ ვიყავით მიჩვეული ჩვენი ჟურნალის „სისკარის“ თავის დროზე გამოსვლას...

წინარად, მშვიდობიანათ მიიცივალა! მართს დროს ცოცხალი იყო, საზოგადოება თვალ-ყურს ადევნებდა...

მაგრამ ბოლოს და ბოლოს სიცოცხლე თან-და-თან შემოაკლდა, როგორც თითქო დაუძლურდა...

შემდეგ იქამდე მივიდა საქმე, რომ „სისკარი“ კაცს აღარ ახსოვდა და თუ ვინმე მოიგონებდა...

ახლა, როგორც ხედავთ, სულაც მიიცივალა. და კაცს აღარ ჰქონებოდა...

ეს ორიოდ სიტყვა იყო იმის ნეკროლოგი. მაგრამ „სისკარს“ ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ დროს მართლა წამდელი მნიშვნელობა ჰქონდა...

შორისდამ გვეწერენ, რომ აქ დაყარეს ხმაო, ვითომც აქ დაყენებული პოლიცია მალე სხვაგან სადღაც უნდა გადაიყვანონ...

ბით უსაფუძვლოა ასე, რომ ჯერ-ჯერობით გორგლებს აღსაშფოთებელი არაფერი არა აქვთ.

ქაქაურს სამხედრო ოლქის სასამართლოში ამ ენკენისთვის 9-სა და 10-ს გარჩიეს დრაგუნის პოლკის პრაპორსნიკის მინკეიცის საქმე...

ეს უკანასკნელი სამი დღე ოთხილში თქვენი მოწონებული სიტყვებია. ბუშინ და გუშინწინ თითქმის მთელი დღე წერილი წვიმა მოდიოდა...

„დროების“ კორექტივები

1873 წელს მუთანის მაზრის მართვლებს მიუვიდათ მიწერილობა, რომ მათ ჩაეგონებიათ რწმუნებული მათდამი მცხოვრებთათვის და შეედეგინებინათ განჩინება...

ამ მიწერილობის მიღების შემდეგ, ზოგიერთმა მაზრის უფროსებმა განძრიეს ხელი, როგორც მ.გ. რაჭისამ, ოსურგეთისამ და სენაკისამ...

თბილ კვალზე რაც შედგა განჩინება, თორემ მერმე ამაზე, გარდა შორაპნის მაზრის უფროსისა, არავის აღარ უფიქრია.

ამ გვართ გადაწყდა ჩვენი ოლქების საქმე: იქ, სადაც განჩინება იყო დადგენილი უფ. ინსპექტორმა ტროიემ გაგზავნა მასწავლებლები...

თუმცა იწერებიან, რომ იმერეთში ბევრი კარგი შკოლები არისო, მაგრამ ახლანდელი შკოლები, ვისაც ყმაწვილების აღზრდა ესმის...

ლობა შკოლისა და მასწავლებლები არ ეყოლებოდა.

რამოდენიმე სოფელში გლეხებმა გააშენეს უფროსოთ სახლი, მაგრამ ისე ძვირათ დაუჯდათ ეს (1000—1,500 მანეთამდინ), რომ მასწავლებლის დაქვრის ღონე აღარ აქვსო.

ზემოხსენებული მიწერილობის თანახმად, სენაკის მაზრაში დაბა სუჯუნაში დაადგინეს განჩინება შკოლის თაობაზე. უფ. ინსპექტორმა ტროიემ მასწავლებელიც გაუგზავნა. რომელიც 1874 წლის დეკემბრის გასვლამდის ყმაწვილებს ასწავლიდა სოფლის სასამართლოში.

შველაზე უფრო იაფმა მოვაჭრემ ძველი სახლი და ხუთასი მანეთი მოინდომა. ის ძველი სახლი ისეთი დიდი შენობა იყო, რომ ორი შკოლის სახლი გამოვიდოდა.

ამას გარდა უფ. ანჯაფარიძემ ორ სხვა ალაგას გასცა შკოლის სახლი ასაშენებლათ ასრე იაფათ და ამას გარდა კიდევ სხვაგანაც და სხვა შემთხვევაშიდაც გვპირდება ამ კეთილ საქმეში შემწეობას.

ანთიმოზი

პართი წინადადება

ამბობენ, რომ მსგავსად და თანასწორ აღმოსავლეთის საქართველოს მღვდლებსა, ჩვენ დასავლეთ საქართველოს მღვდლებსაც გვენიშნება ჯამაგირი.

შრიგო არ იქნება, რომ ამ პირველი შემთხვევით ვისარგებლოთ და ისე მოვიქცეთ, როგორც, ყმების ფულების მიღების დროს, ჩვენი თა-

ვა-დაზნაურება მოიქცა: რომ ყოველად სამღვდლო მღვდლებს უკმაყოფირობის ითავედეს...

იმერეთის მისკოპოსმა ამას წინეთ ბრძანა, ვითომც რამოდენიმე ათასი მანეთით გაუხსნებია სამღვდლოების ქვრივებისა და ობლების მზრუნველობა...

თუ ყოველად-სამღვდლო მიიღო ეს შრომა თავის თავზედ ამ თაღაპირველ, კარგი იქმნება და მერმეთ ესრეთი გარდასახადისაგან თავისუფალი ვიქმნებით.

ახლა, ამ თავით ასე ცოტა ფულის გამორიცხვა ჯამაგირიდან სამღვდლოებისთვი საგრძნობელი არ იქნება, და ცოტაც რომ იგრძნონ, რა არის ეს შევიწროება იმ სარგებლობასთან, რომელსაც ამნაირად შეგროვებული ფული მოიტანს!

მასურებ, რომ ამ წინადადებაზე კარგათ მოიფიქრონ ჩემმა თანამოძმე იმერეთის მღვდლებმა...

იმერელი მღვდელი შ. ი.

რუსეთი

პეტერბურდის ქალაქის გამგეობამ ნებართვა სთხოვა მართებლობას, რომ ყველა ჩვენ სახალხო შკოლებში ვალდებულებითი სწავლა დაწესდესო; ყოველი მამა, რომელსაც შეილი ჰყავს, ვალდებულიყო, რომ ან შკოლაში შეიყვანოს და ან შინ ასწავლოს თავის შვილს...

რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ მომავალ 1876 წელს სახალხო განათლებისათვის მართებლობისაგან 14,737,448 მანეთი არის დანიშნულიო.

მუბანის და მერგის მაზრებში მომავალ წელს რუსის ხაზინა 239,260 მანეთს შემოსავალს მოელოდა...

რუსეთის ფოქტი წლიური გასავალი არის—10,728,000 მანეთი და შემოსავალი—9,040,000 მან. შემოსავალში შედის: წიგნების გაგზავნის ფული—4,40,000 მან., ნივთების გაგზავნისა—600,000, ჟურნალ-გაზეთების გასაგზავნი—370,000 და სხვ.

ზოგიერთი პეტერბურდის არხიტექტორები ისეთი შკოლის გამართვას აპირებენ, სადაც ახალგაზდა და მოზდილ შავირდებს მხოლოდ დურგლობას ასწავლიან.

„ბირჟის უწყებებში“ სწერენ, ეთომც უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს, რომ 1866 წელს გამოცემული „წესდება სისხლის სამართლისა და გასაწერთნელი დასჯის“ თაობაზე ხელ-ახლად გადახედოს, რადგან ამ წესდებაში ბევრი ისეთი ნაკლებეფანება არისო, რომელსაც გასწორება ეჭირებაო.

„პრტოს რუსულ გაზეთს შეუტყუია, რომ რუსეთის ზოგიერთ სამსწავლელო მასწავლებლებს წინადადება შეუტანიათ სახალხო განათლების სამინისტროში, რომ რადგანაც გიმნაზიებში ერთობ ბევრი მოსწავლენი არიანო, ამისგანო ყველა გიმნაზიების დირექტორებს პარალელური კლასების გახსნის უფლება მიეცესო.

„ქუბანის მახრიდამ იწერებია რუსულ გაზეთებში, რომ ამ უკანასკნელ დროს აქ ავაზაკობა ერთობ გახშირდაო. ამას გარდა იწერებია, რომ ამ ენკენისთვის დამდგეს ბატალაშინსკისა და ტემრუკის მახრებში კალია გაჩენილა და ზოგი ნამუშაური გაუფუჭებია.

### უცხო ქვეყნები

**გერმანიის არმიის აღმშენებელი.** პრტოს ნემეცურს გაზეთში ჩერნოგორიად იწერებია, რომ აქ გავარდა ხმაო, ეთომც ჩერნოგორიის სენატს საიდუმლო სხდომაში გადაწყვიტოს, რომ მსმალოს ომი გამოუცხადოს და ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისთვის მხოლოდ სერბიის პარლამენტს უკუდიანო. რასაკვირველიაო, ამბობს ეს გაზეთი, რომ ჩერნოგორია და სერბია ერთად იმოქმედებენ ამ შემთხვევაშიო, მაგრამ ზოგიერთებმა უთუოთ არ იციანო, რომ ჩერნოგორიის სენატს არა აქვს, კონსტიტუციის ძალით, არც ომიანობის გამოცხადებისა და არც მორიგების შეკერის უფლებაო, ეს უფლება მხოლოდ სკუპსინას ეკუთვნისო; მაგრამ ამ ჟამად ეს საქმე ყველაზე უფრო ჩერნოგორიის მთავარზედ არის დამოკიდებულიო.

ბრძოლის ველიდამ კარგი ამბები მოდის აჯანყებულებისათვის. ტრეზინის ციხესთან და ორ-სამ სხვა ალაგას დაუმარცხებიათ თათრის ჯარი და ბევრი თოფ-იარაღი და სურსათი დაუტოვებიათ. მათრები ისეთნაირად გაბრაზებულნი არიან თურქებზე აჯანყებულ ქრისტიანებზე, რომ სადაც კი ჩაიგდებენ ხელში, თუნდა მოხუცი, უძლური და ყმაწვილი იყოს, უმოწყალოდ ხოცენ, სოფლებს ცეცხლს უკიდებენ და საზოგადოთ არაეის ზოგავენ.

ინგლისური გაზეთების კორრესპონდენტები ერთხმად ამბობენ, რომ თუ ამ ერთ თვეს კიდევ გასძლეს აჯანყებულებმა, მერე არა უშავთ რაო; დინარის ალპებში (მთებში) როცა დათოვლს, მსმალოს ჯარს მოძრაობის გზა შეეკრებაო.

და აჯანყებულებს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევინო.

**სერბია.** სერბიის სკუპსინას (ხალხის წარმომადგენელთა კრებას) მიუღია ადრესის პროექტი, რომელიც კამისიის უმრავლესობას წარუდგენია იმისთვის. ადრესის პროექტი ზომიერი სიტყვებით არის თურმე დაწერილი, ომიანობის გამოცხადებაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი.

— სერბიის ტახტის პრედენტეტს პეტრე პარაგორგიევიჩს შეუტრება ჯარები, ეთომც კერცოგოვიენლევისა და ბოსნიელების დასახმარებლად და სერბიის სამზღვარზე დაბანაკებულა. მთავარი ამ გარემოებას შეუშინებია, მით უფრო რომ იმას ხალხი ემდურის ახლა, რატომ მსმალოს ომი არ გამოუცხადეო.

— შინაგანი საქმეების მინისტრს სკუპსინისათვის წარუდგენია ახალი კანონის პროექტი, რომლის ძალითაც სერბიის გაზეთებს მომეტებული თავისუფლება ეძლევათ.

**რუმინია.** ბუხარესტიდამ იწერებია, რომ ახლანდელ რუმინიის მთავარს თ. პარლოს ხალხი ძალიან ემდურისო. პოლიციას აღმოუჩენია ერთი შეთქმულობა, რომლის წევრებს განზრახვა ჰქონიათ, რომ პარლოს ჩამოგდოთ რუმინიის ტახტიდამ და იმის მაგიერად სერბიის მთავარი მილანი დაესვათ.

**ბოლშარია.** რამდენიმე საზოგადოება შემდგარა თურმე ბელგრადში, რომელთაც უბრალო სახელი ჰქვიათ და ერთი შეხედვით მხოლოდ კაცთ-მოყვარული მიზანი აქვთ, მაგრამ ნამდვილი განზრახვა ამ საზოგადოებათა კი ის არის თურმე, რომ ბულგარიაშიაც არეულობა მოახდინონ და ეს ქვეყნაც მსმალოს ქვეშევრდომობისაგან გაანთავისუფლონ.

**მსპანია.** მსპანიაში ახალი სამინისტრო დანიშნა, რომელმანც გამოაცხადა, რომ პირველი ჩენი მოვალეობა და აგრეთვე ყოველი მამულის მოყვარე ესპანიელისა ის უნდა იყოსო, რომ ძმა-ძმის მკვლელი ომისაგან განეთავისუფლდეთო, რაც შეიძლება მალე დაეიმორჩილოთ განდგომილი კარლისტები; მხოლოდ შემდეგ შეიძლება პარტესების შეკრება და საზოგადოთ კონსტიტუციური წესების დადგენაზე სჯაო.

### ქრონიკა

#### შარნაგაზისაგან დაღბენილი სამხედრო წესი

პოლიბის სიტყვით, მართველებს ჰქონდათ საომარ იარაღად საფთანი, შეილდ-ისარი, რკინის ფარები, რკინის პაჭკები და პერანგები.

ნამდვილია აგრეთვე ისიცა, რომ საქართველოს ჰყვანდა კიდევ სამუდამო ჯარი; მაგრამ ეს ჯარი ეკუთვნოდა მეფეს, იყო მისი მცველი და მორჩილი; იმასთან სპასალარს ხელი არა ჰქონდა და ერქო სეფეწული და ამით ბაიარას ერქო სეფე-დროშა. სეფე

არის სასახლე, წული ვაჭი, შეილი. ეს ჯარი იყო შემდგარი წარჩინებულთა გვართა შეილთაგან. მოსე მორენელი ამბობს, რომ ეს მეფის ჯარი—სეფეწული—ისრე მშვენიერად იყო გაწყობილიო, რომ 162 წელს შრ. დაბ. წინად, როცა საქართველოში მესამემეფედ შარნაგაზის შეილის საურმაგის ნაშვილები მირვანი იყო, მაშინ სომხის მეფემ მაგარშაკმა თავისთვის იმისი მსგავსი ჯარი შეილგინაო. ამ გვარი ჯარები ჰყოლიათ მეფეებს იმ დროსაც, როცა მოსე მორენელი სცხორებდა (370—493 წ. შრის. დაბ. შემდეგ). ის თავის „Исторія Арменіи“, რუსულს ენაზე, პირველ წიგნის მე-XVII თავში, პირ-და-პირ ამბობს, რომ მაგარშაკმა სომხეთში ჯარები ისრე მოაწყო, როგორც ეხლა არის იბერიაში „სეფეწული“.

ეს სეფეწული ჯარი არ გაეიღო და საომრად მტერთან. ვიდრე არ გაუქირდებოდა საქართველოს, როგორც მოჰხდა მაგალითებრ რუსუდანის დროს, როცა საქართველოს დაეცა ხორანის სულთანის ჯალალ-მდინი. ამ ჯარს მეფეები თავის ხარჯით ინახავდნენ. ეს ასე ყოფილა ამ მახლობელ დროშიაცა.

ისტორიიდგან წამდელიად ჰსჩანს, რომ ამგვარი „სეფეწული“ ჯარი ჰყოლიათ მეფე მირიანს, მეფე მახტანგ ბორგასლანს, მორენელის თანამედროვეს, დავით აღმაშენებელს, მეფე მამარს და რუსუდანს, და ეჭვი არ არის, რომ ეს ჯარი ჰყვანდა მეფე შარნაგაზსაც და სხვებსაც.

ამ მეფის სამუდამო ჯარის გარდა, სპასალარის ხელ ქვეით ერისთავების ჯარები რომ შეიყვებოდნენ ხოლმე, ისინი იყვნენ,—მილიცია, იმისი მსგავსი მილიციონერები, როგორც ჰყვანდათ რომაელებს.

შველა ერისთავების ჯარებს გასაკვირველი ერთობა, სიყვარული, ერთგულება და მამულის მოყვარეობა ჰქონდათ და თაყ-გადადებით იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებას. მაგრამ იყვნენ საშიშარნი, ამპარტავანნი, სასტიკად მდენენლი უცხო ტომის ხალხებისა, თუ რომ ისინი გაბედავდნენ იმათ მიწა-წყალში შემოსვლას. ასრე ამბობენ პირგინი (იხ. Georg. III, V. 408), ბორაკი (იხ. Ода IV, 14 და 50) და ლუკანი (VI, 288). „ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქვდათ, რომელნი ვთქვიო, და განუხეჟქელობისათვის სამეფოს მცველობდნენ, და უკეთუ მიუღიან საზღვარნი თვისნი, ყოველნი მშუხარებდნენ და იჭირვოდნენ კვალად—გებასე და მეფეთა თვისთა მიუდრეკელად ერთგულებდნენ. მანა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილნან, არამედ კვალად იპურიან თვისნივე და არა დაუტევიან ლეზთნი, და მეფე და ჩვეულებანი თვისნი“ (იხ. შახ. ლეოლ. გვ. 22).

ინგილო ჯანაშვილი

### წესდება

#### თფილისის გამსახეებლ-შამნახვალის ამხანაგობისა

VII. ამხანაგობის სათადარიგო თანხა  
66) სათადარიგო თანხა არის შეესებლათ ამხანაგობის დანაკარგისა,

რომელსაც წლის მოგება ეჭრ დაჰფარავს, და ეკუთვნის მთელს ამხანაგობას, ვიდრე იგბ [შეცვლის] შეცვლის დებას არ მოსპობს (მუხ. 122 პ. დ.); თუ ამხანაგობა დაიშალა, დანიშნულ უნდა იყეს სახალხო განათლებისათვის.

67) სათადარიგო თანხა შესდგების: ა) შინდა მოგების ნაწილიდამ, ამ საგანზე გადადებული ზომით არა ნაკლებ ამ მოგებიდამ ათის თავისა (მუხ. 70) და

ბ) ძაპეიკების ნაწილიდამ, რომელიც მოეჭრება—ამხანაგებში წლის მოგების გაყოფის დროს.

68) ნაწილი სათადარიგო თანხისა, რომელიც არის ანგარიშის შედგენის დროს წილად ფულების ერთი მესამედის ოდენა, უნდა შენახულ იყოს სახემწიფო ხაზინის ბილეთებით (სერბებთან) ანუ სახემწიფო სარგებლიან ქალაქდებთან. დანარჩენი ნაწილი სათადარიგო თანხისა შეიძლება სესხათ გაეცეს (მუხ. 40—65).

#### VIII. მანაწილება ამხანაგობის მოგებისა და ზიანისა

69) ამხანაგობის წმინდა მოგებათ მიიღება ის ჯამი ფულისა, რომელიც რჩება ძირს, მთელის შემოსავლიდამ, როდესაც გამოირიცხება:

ა) სარგებლები სასარგებლოდ შემოტანილის და ვალათ აღებული ფულებისა,

ბ) ზამგებლობაზედ დანახარჯი, და

გ) ზიანი.

70) სათადარიგო თანხის შესადგენათ, როდესაც გამოირიცხება წმინდა მოგებიდამ არა ნაკლებ ათის თავისა (მუხ. 67 პ. ა.), დანაშთენი ფული განიყოფება ამხანაგობის წევრებში საანგარიშო წლის დაწყობაში. მანაწილება მოხდება წილადის ფულის ანუ ამის ნაწილი ფულის მიხედვით და, რომელსაც მთელი წილადი ფული შემოტანილი აქვს, იმას მიეცემა არა უგვიანეს სამის თავისა, ანგარიშის დამტკიცებიდამ დაწყობილი, და დანაშთენ წევრებს იმათს შემოსატან წილად ფულში ჩათელება, ვიდრე წილადი ფული სრულიად შემთავრდებოდეს (მუხ. 14).

71) თუ ამხანაგობის აღებ-მიცემობაში წმინდა მოგების მაგიერ—ზიანი აღმოჩნდა, უნდა შეეისოს იმ წესით, როგორც ნაჩვენებია 26 მუხლში.

#### IX მმართველობა ამხანაგობის საქმეებისა

72) ამხანაგობის მმართველობას შეადგენენ:

ა) ზამგებლობა, ბ) რჩევა და გ) საზოგადო კრება.

73) ამხანაგობას აქვს საკუთარი თავისი სახელობრივი ბეჭედი.

#### ა. ზამგებლობა

74) ზამგებლობა არის წარმომადგენელი ამხანაგობისა ყოველს მის საქმეში გარეშე ადგილებთან და კერძო პირებთან, განსაკუთრებული რწმუნების წერილის უქონლათ.

75) ზამგებლობა თავის წევრების მთელის ქონებით პასუხის მგებელია იმ ზიანში, რომელიც მიეცა ამხანაგობას იმის მოქმედებით წინააღმდეგ ამ წესდებისა, ანუ საზოგადო კრების და რჩევის კანონიერ გარდაწყვეტილებისა.

76) ზამგებლობა შემდგარია სამის წევრისაგან, რომელსაც ამხანაგობის წევრთაგან აღმორჩილეს საზოგადო კრება (მუხ. 107 პ. ბ) დახურულის კენჭით სამ-სამი წლობით.

77) თუ ზამგებლობის წევრი ავთ არის ან არ იმყოფება თავის ადგილს,

